

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დალი მოდრეკელიძე

ვებ-გვერდების პიქსელური ანალიზი, დამუშავება და გარდაქმნა  
გრაფიკული სახით დალტონიკებისთვის

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა ინფორმატიკა

შიფრი 0401

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2019 წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავაცანით დალი მოდრეკელიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: მომხმარებელთა მართვის განვითარებული სისტემების ვებ-გვერდების პიქსელური ანალიზი, დამუშავება და გარდაქმნა გრაფიკული სახით დალტონიკებისთვის და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის \_\_\_\_\_ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

\_\_\_\_\_, \_\_\_\_\_ 2019 წელი

ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_ / თ. ბახტაძე /

რეცენტენტები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019 წ

ავტორი: დალი მოდრეკელიძე.

დასახელება: ვებ-გვერდების პიქსელური ანალიზი, დამუშავება და  
გარდაქმნა გრაფიკული სახით დალტონიკებისთვის.

სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ  
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის  
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების  
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც  
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან  
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი  
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო  
უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ  
მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ  
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია  
სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს  
პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში გადმოცემულია დალტონიზმის განვითარების მიზეზები, პრობლემები და რეკომენდაციები რომლებიც განკუთვნილია ვებ დიზაინერებისა და დეველოპერებისთვის. მსგავსი კვლევა საქართველოს მასშტაბით არ ჩატარებულა, ვებ გვერდი აერთიანებს რამდენიმე ფუნქციონალს, რომელიც მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს ამომწურავი პასუხები მივიღოთ კითხვებზე და გავითვალისწინოთ რეკომენდაციები. კვლევის შედეგად დავადგინე, რომ მსგავსი ფუნქციონალის ერთიანობა ინტერნეტ სივრცეში არ ფიქსირდება, შესაბამისად ჩემს მიერ შემუშავებული ვებ გვერდი წარმოადგენს უნიკალურ ვარიანტს. ამჟამად ვებ გვერდი გათვლილია ქართველ მომხმარებლებზე, ახლო მომავალში იგეგმება მისი გლობალურ მასშტაბზე ფუნქციონირება და მეტად განვითარება.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია დალტონიზმის წარმოშობის პრობლემები, მიზეზები და აღქმის ნაირსახეობები. ასევე სხვა და სხვა პროგრამები, რომლებიც ჩემს მიერ შედგენილი ალგორითმის მსგავსად მუშაობს. განხილულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ასევე წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი ჩემს პროგრამასთან მიმართებაში. კვლევის შედეგები აღწერილია ცხრილების და გრაფიკების სახით, რაც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსგავსი ფუნქციონალის ვებ გვერდების მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობს:

1. <https://www.toptal.com/designers/colorfilter/>
2. <https://www.color-blindness.com/coblis-color-blindness-simulator/>

განხილულია მათი სწრაფქმედება და შედარებითი ანალიზი ჩემს მიერ შექმნილ ვარიანტთან.

თავში კვლევა, შედეგები და მათი განსჯა წარმოდგენილია გამოყენებული ტექნოლოგიები და მათი უპირატესობები იმ მონაცემების დამუშავებისას, რომელსაც ვამუშავებ საბოლოო შედეგის მიღებისთვის. წარმოდგენილია დეტალური აღწერა თუ როგორ ვინახავ მონაცემებს და ვამუშავებ პიქსელურად, რა ტექნოლოგიებით ვზრდი დამუშავების სისწრაფის ხანგრძლივობას და რამდენ ბიჯურ ოპერაციას ვასრულებ ამისათვის.

განალიზების შემდგომ ვახდენ მის გადაყვანას შესაბამის კატეგორიაში და ვიზუალიზაციას. ვიზუალიზაციისთვის შემოთავაზებული მაქვს ორი ვარიანტი:

- ვიზუალიზაცია ლინკის მითითებით.
- ვიზუალიზაცია ფოტოს ატვირთვის მექანიზმით.

ორივე ფუნქციონალი მუშაობს სწრაფად და დაყოვნებების გარეშე.

განხილულია ორივე მეთოდის უპირატესობები და მუშაობის

პრინციპები. მომხმარებელს საშუალება აქვს დალტონიკის ფერების გარდასახვა შესაბამის კატეგორიაში მოახდინოს არა ლინკის მითითებით, არამედ ფოტოდან რომელსაც ატვირთავს ვებ გვერდზე. ეს ფუნქციონალი

საშუალებას იძლევა მეტად მოქნილი იყოს ვებ გვერდი და მომხმარებელმა გამოიყენოს ის კონკრეტული მიზნების შესასრულებლად.

ვებ გვერდი ეხმარება როგორც დეველოპერებს ასევე მენეჯერებს, ოგრანიზაციებსა და კერძო პირებს ფერების შერჩევის სისუსტეების გამოვლენაში.

ვახდენ პიქსელურად გაშლილი ფერების 5-მდე ყველაზე დომინირებად ფერს და ვიძლევი რეკომენდაციას დალტონიზმის შესაბამისი ტიპის მომხმარებლებისთვის, რომ არ შეექმნათ ტექსტის წაკითხვის ან ფოტოდან/ნახაზიდან ობიექტის ამოცნობის პრობლემა.

შედეგების გაანალიზებისთვის მაქვს რამდენიმე პუნქტი რაც უნიკალურად ანალიზებს ვებ გვერდზე შემოსულ მონაცემებს, რაც საშუალებას მძლევეს დეტალურად ავლწერო და ავაგო შესაბამისი სტატისტიკა გრაფიკული სახით რაც უნიკალურ კვლევას წარმოადგენს , რადგან მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა და საქართველოს მასშტაბით საკმაოდ თვალსაჩინო შედეგს გვაძლევს.

- ანალიზი IP მისამართების მიხედვით.
- ანალიზი შერჩეული ვებ გვერდების მიხედვით.
- ანალიზი აქტიურობის მიხედვით დღეების შესაბამისობაში.
- ანალიზი არჩეული დალტონიზმის ტიპების მიხედვით.
- ანალიზი დალტონიზმის გამოვლენის მიხედვით.
- ანალიზი ასაკური ზღვრების მიხედვით.

შემოთავაზებული მაქვს სერვისის ფუნცია საიდანაც მსულველებს/კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ სერვისის საშუალებით მიიღონ დაგენერირებული და დამუშავებული შედეგი, რომელიც გაეგზავნებათ შესაბამის ბმულზე.

კლიენტები მიმართვას აგზავნიან ფორმაზე რომელი ფორმითაც მუშავდება შესაბამისი კატეგორიის სურათი და ეგზავნება მას.საბოლოო ჯამში ვებ გვერდზე წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რისი საშუალებითაც კომპანიას/მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ჩემს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იხელმძღვანელოს და მიმართოს ჩემს სერვისს სადაც დეტალურად არის აღწერილი ყოველი აუცილებელი პუნქტი.

(კომპანია/მომხმარებელი) მიმართავს ჩემს სერვისს და ინახავს შედეგს თავის ბაზაში, რისი საშუალებითაც ამუშავებს შესაბამის ფოტოს და ახდენს თავისი ვებ გვერდის განახლებას ან ახალი ფუნქციონალის შემუშავებას.

კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემები ინახება ლოკალჰოსტ სერვერის click\_log ბაზაში რომელსაც გადავცემ შერჩეული სურათის (base64) ტექსტს და გადავცემ imgbaseurl ცვლადად პოსტ მეთოდით.

კონკრეტული სერვისის კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს მისი მოქნილობა რაც გამოიხატება იმაში, რომ მონაცემები ინახება დაშიფრული base64 ფორმატში, რაც საშუალებას გვაძლევს დიდი ზომის მონაცემები (ფოტოები) შევინახოთ სერვერზე დიდი მეხსიერების გარეშე.

ნაშრომში აღწერილი დიზაინის ძირითადი საკითხები გამიზნულია როგორც ინდივიდუალ მომხმარებელზე, ასევე დიდ კომპანიებში ინფორმაციის სწორად განლაგებასა თუ სისუსტეების გაანალიზებასა და აღმოფხვრაზე.

## Resume

This work presents the causes, problems and recommendations of Daltonism, designed for web designers and developers. A similar survey has not been conducted across Georgia, the web site combines several fundamentalists, which enables us to provide comprehensive answers to questions and to take into account the recommendations. As a result of the research, the integrity of such a fundamentality is not observed in the Internet space, so the website I designed is a unique option. At present, the website is designed for Georgian consumers in the near future to operate on its global scale and develop more.

The literature review examines the problems of origin of Daltonism, reasons and perceptions. As well as other programs that work like algorithms I've created. Their positive and negative sides are discussed and a comparative analysis of my program is presented. The trail results are described in the form of tables and graphs that are clearly visible. The survey revealed that there are only two variants of similar web sites:

3. <https://www.toptal.com/designers/colorfilter/>
4. <https://www.color-blindness.com/coblis-color-blindness-simulator/>

Their agility and comparative analysis are discussed with my variant.

In the back of the research, results and their judgment are presented technologies and their advantages in the processing of the data I work for to achieve the final result. I have a detailed description of how I store data and process it pixelically, what technologies I have to do with the speed of processing speed and how many executives I perform.

After analyzing it, I transfer it to the relevant category and visualization. I have two options offered for visualization:

- Visualization with the indication of the link.
- Visualize the photo upload mechanism.

Both functions work fast and without delay.

The advantages and work principles of both methods are discussed. The user has the ability to convert Dalton's colors into the relevant category with the indication of the link but from the photo uploaded to the web page. This functionality allows the web page to be more flexible and the user will use it to perform specific goals.

Due to the fact that the web page helps both the developers and the managers, the aggregate and private individuals to identify the weaknesses in selecting colors.

I have a five-color dominant colors that I've picked up and recommend it to users of the same type of Dalton that you do not have to read the text or find a problem from the image / drawing object.

I have a few points to analyze the results which uniquely analyzes the data received on the web page that gives me the opportunity to analyze the detailed statistics in graphical form as it is a unique study, since such a survey has not been conducted in Georgia and gives us quite visible information across Georgia.

- Analysis by IP addresses.
- Analysis according to selected web pages.

- Analyze the activity according to days.
- Analysis according to the type of doltonism selected.
- Analysis by analyzing the analysis.
- Analysis according to age limits.

I have offered the service of the service to help people / companies get the opportunity to get a generated and processed results that will be sent to the relevant link.

Customers send an appeal to the form in which form the image of the relevant category is processed and sent to it. Finally the web page contains documentation that allows the company / user to have the documentation provided by me and refer to my service in detail where all the necessary points are described.

Another advantage of a specific service is its flexibility as data is stored in an encrypted base64 format that enables large sized data (photos) to be stored on the server without large memory.

The main issues of the design described in the work are intended to be analyzed and eliminated as well as individual users, as well as correctly deploying information and weaknesses in large companies.



## შინაარსი

შესავალი.....	14
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა	
1.1. დალტონიზმის ტიპები .....	18
1.2. დალტონიზმის გამომწვევი მიზეზები.....	19
1.3. ცუდი ფერების კომბინაციები .....	20
1.4. ვებ დიზაინში გასათვალისწინებელი პუნქტები .....	21
1.5. დიზაინის ცვლილება ტონის და სიკაშკაშის კომბინაციების გამოყენებით ..	26
1.6. არსებული ვებ გვერდები მსგავსი ფუნქციონალით და მათი განხილვა.....	28
თავი 2. კვლევა, შედეგები და მათი განსჯა	
2.1. გამოყენებული ტექნოლოგიები.....	43
2.2. ფოტოს გადაღების და შენახვის ალგორითმი.....	51
2.3. სურათის შენახვის პროცესი.....	53
2.4. კანვასის გამზადება.....	54
2.5. კანვასის დუბლირება.....	55
2.6. ფერების გაანალიზება.....	56
2.7. შენახული ფერების მასივის აღწერა.....	64
2.8. ფოტოს ატვირთვის უპირატესობები.....	67
2.9. ფოტოების ატვირთვის მექანიზმი.....	68
2.9.1. ფერთა რეკომენდაციები.....	71
2.9.2. დომინირებადი ფერების გამოვლენა .....	72
2.9.3.დომინანტური და რეკომენდებული ფერების კომბინაციები.....	79
2.9.4. შედეგების გაანალიზება.....	82
2.9.5.ანალიზი IP მისამართების მიხედვით.....	82
2.9.6. ანალიზი შერჩეული ვებ გვერდების მიხედვით.....	82
2.9.7. ანალიზი აქტიურობის მიხედვით დღეების შესაბამისობაში.....	87
2.9.8. ანალიზი არჩეული დალტონიზმის ტიპების მიხედვით.....	88
2.9.9 ანალიზი დალტონიზმის გამოვლენის მიხედვით.....	92
2.9.10 ანალიზი ასაკური ზღვრების მიხედვით.....	102

2.9.11 სერვისი.....	106
2.9.12 შენახული მონაცემების გამოჩენა.....	108
2.9.13 უსაფრთხოების კომპონენტი ვებ გვერდზე.....	109
დასკვნა.....	111
გამოყენებული ლიტერატურა.....	112

## სურათების ნუსხა

- სურათი 1. ნორმალური ხედვის ფოტო
- სურათი 2. დალტონიზმის ხედვის ფოტო.
- სურათი 3. ნორმალური, დეუტანოპია და პროტანოპიის კატეგორიის ხედვა
- სურათი 4. დეუტანოპიის ფერთა კომბინაცია
- სურათი 5. პროტანოპიის ფერთა კომბინაცია
- სურათი 6. ტრიტანოპიის ფერთა კომბინაცია
- სურათი 7. ნორმალური ხედვის რეჟიმი. ღილაკები
- სურათი 8. დალტონიკის ტიპის ხედვა.ღილაკები
- სურათი 9. საინფორმაციო ტექსტები
- სურათი 10. ფერები და განმარტებები
- სურათი 11. ფეისბუქზე სიმბოლოების და ფერების შეხამება ერთმანეთთან
- სურათი 12. ფერთა კომბინაციები ტექსტურამდე და ტექსტურის დამატების შემდეგ.
- სურათი 13. ფერთა რუკა
- სურათი 14. სრული დალტონიზმის შემთხვევა (ფერთა რუკა)
- სურათი 15. ფერის ცვლილება ტონის და სიკაშკაშის ცვლილებით
- სურათი 16. ფერთა სპექტრის კომბინაცია დალტონიზმის ფერთა სპექტრის შესაბამისობაში
- სურათი 17. მკვეთრი და ღია ფერის თანაფარდობა.
- სურათი 18. Toptal.com-ის გვერდი.
- სურათი 19. topta.com-ის კოდის ფრაგმენტი
- სურათი 20. კანვასის ტექნოლოგია
- სურათი 21. დანერგილი ვებ გვერდის ხარვეზი
- სურათი 22. დალტონიზმის შესაბამის კატეგორიის ვებ გვერდის გადამყვანის მისამართი.
- სურათი 23. <https://www.color-blindness.com/coblis-color-blindness-simulator/> ვებ გვერდის ვიზუალური მხარე.
- სურათი 24. <https://www.color-blindness.com/coblis-color-blindness-simulator/> ვებ გვერდის კოდის მხარე.
- სურათი 25. დამატებითი დალტონიზმის ტიპები
- სურათი 26. არსებული ფუნქციონალის ნაწილი
- სურათი 27. colorblind.js
- სურათი 28. colorblind.js
- სურათი 29. colorblind.js
- სურათი 30. colorblind.js
- სურათი 31. Cpanel
- სურათი 32. Cpanel
- სურათი 31. cpanel
- სურათი 33. Cpanel დეტალური ინფორმაცია
- სურათი 34. მომხმარებლების სია
- სურათი 35. ბაზის ნაწილი
- სურათი 36. კონფიგურაციის ნაწილი
- სურათი 37. სურათის გადაღების მეთოდი
- სურათი 38. სურათის შენახვის პროცესი
- სურათი 39.სურათის მიღების და გაფორმების პროცესი
- სურათი 40. კანვასის მაგალითი
- სურათი 41. პრეტანოპიაში დაგენერირებული ფოტო

სურათი 42. ტრიტანოპიაში დაგენერირებული ფოტო  
სურათი 43. დეუნატროპიაში დაგენერირებული ფოტო  
სურათი 44. ნორმალური ფოტო/ორიგინალი.  
სურათი 45. გაფრთხილების შეტყობინების ფოტო  
სურათი 46. uploadnotification ფუნქციის კოდი  
სურათი 47. ფოტოს ატვირთვის ფუნქციონალი  
სურათი 48. ნორმალური ფოტოს შემთხვევა  
სურათი 49. პროტანას შემთხვევა  
სურათი 50. ფერის კონვერტაციის ფუნქცია  
სურათი 51. დომინირებადი ფერების გამოტანა  
სურათი 52. რეკომენდებული ფერების გამოტანა  
სურათი 53. რეკომენდებული ფერების გამოტანა  
სურათი 54. ნორმალური ხედვის რეჟიმი  
სურათი 55. გადაკონვერტირებული რეჟიმი პროტანოპიაში  
სურათი 56. ფერები და რეკომენდაციები  
სურათი 57. ნორმალური ხედვის რეჟიმი  
სურათი 58. დეუტანოპიის ხედვის რეჟიმი  
სურათი 59. ტრიტანოპიის ხედვის რეჟიმი  
სურათი 60. ლინკით მითითებული ვებ გვერდის ვიზუალი  
სურათი 61. მისამართების გაანალიზება  
სურათი 62. მისამართების შენახვა ლოგების სახით  
სურათი 63 ვებ გვერდების ლოგის ფრაგმენტი  
სურათი 64. დომეინის გარჩევის სკრიპტი  
სურათი 65. ვებ გვერდების ანალიზი  
სურათი 66. დღეების სტატისტიკის გენერაციის მხარე  
სურათი 67. სტატისტიკური შედეგები  
სურათი 68. სტატისტიკური შედეგები  
სურათი 69. ტიპების სტატისტიკის ბიბლიოთეკის კოდი  
სურათი 70. დალტონიზმის ტიპების ჩანაწერები ბაზაში  
სურათი 71. დალტონიზმის ტიპების ცხრილი ბაზაში  
სურათი 72. დალტონიზმზე შესამოწმებელი ტესტის მაგალითი 1  
სურათი 73. დალტონიზმზე შესამოწმებელი ტესტის მაგალითი 2  
სურათი 74. ბაზის სტრუქტურა  
სურათი 75. შემოწმების ველების კოდის ნაწილი  
სურათი 76. ტესტის შესავსები ფორმა  
სურათი 77. დაგენერირებული შედეგი  
სურათი 78. მდედრობითი სქესის გამოკითხვის შედეგები სადაც არ გამოვლინდა რომელიმე შედეგი (კატეგორია)  
სურათი 78. მდედრობითი სქესის გამოკითხვის შედეგები სადაც არ გამოვლინდა რომელიმე შედეგი (კატეგორია)  
სურათი 80. მამრობითი სქესის გამოკითხვის შედეგის ამოღება ბაზიდან  
სურათი 80. მამრობითი სქესის გამოკითხვის შედეგის ამოღება ბაზიდან  
სურათი 82. ასაკის დაჯგუფების სკრიპტი ამრობითი სქესის შემთხვევაში (არ განეკუთვნება რომელიმე კატეგორიას)  
სურათი 83. ასაკის დაჯგუფება მამრობითი სქესის შემთხვევაში სადაც არ გამოვნიდა რომელიმე კატეგორია  
სურათი 84. ასაკით დაჯგუფება მამრობითი სქესის შემთხვევაში სადაც გამოვნიდა რომელიმე კატეგორია

სურათი 85.სერვისის ბაზის სტრუქტურა

## გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

IP - Internet Protocol  
JS - Javascript  
HTML - Hyper Text Markup Language  
TCP - Transmission Control Protocol  
XOR - Exclusive OR SQL - Structured Query Language  
XML - Extensible Markup Language  
PD - პარკინსონის დაავადება  
LHON - ლებერის მემკვიდრეობითი ნეიროპათია  
ID – Identification  
var – variable  
hex - hexadecimal  
rgb - red, green, blue  
gov - government  
com - commercial  
d - day  
m - month  
y - year  
i - index  
con – connection  
c - category  
val – value  
url - Uniform  
Resource Locator  
img - image  
dr - doctor

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ჩემ მიერ შემოთავაზებული და არსებული ვებ გვერდის ეფექტურობის შედარების ცხრილი

ცხრილი 2. ჩემ მიერ შემოთავაზებული და არსებული ვებ გვერდის დროითი ეფექტურობის შედარების ცხრილი

## შესავალი

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, იზრდება მონაცემების დამუშავების სისწრაფე რაც მეტად მოქნილს ხდის პროგრამებს. შექმნილია სხვა და სხვა ბიბლიოთეკები რაც შეგვიძლია ჩვენს შექმნილ ფუნქციონალს დავურთოთ თან და გავამარტივოთ ესა თუ ის მოქმედება.

ჩემი კვლევის მიზანია გავაუმჯობესო ვებ ტექნოლოგიების მხარე რაც დაეხმარება ვებ დიზაინერებს და პროგრამისტებს რომ შექმნან მეტად მოქნილი და ყველა კატეგორიის მომხმარებელზე გათვლილი პროგრამები და ვებ გვერდები.

ჩემს მიერ შექმნილი ვებ გვერდების ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს გვერდების თვალსაჩინოდ წარმოდგენას, რაც დაეხმარება როგორც ვებ დიზაინერებს და დეველოპერებს, ასევე ჩვეულებრივ მომხმარებლებს გვერდებზე არსებული სისუსტეების და ხარვეზების გამოსასწორებლად.

თემაში ნახსენებია გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რისი საშუალებითაც საიტების გაანალიზება ხდება სწრაფად და ნაკლები დაყოვნებებით. შედეგად ვიღებთ ერთ ორიგინალ ფოტოს და სამ სხვა და სხვა ფერებში კომბინირებულ ფოტოს, რომელიც გაანალიზების შემდეგ მორგებულია დალტონიკების შესაბამის კატეგორიას.

წარმოდგენილი სამუშაო ვფიქრობ ბევრად გაამარტივებს დიზაინერებისთვის და დეველოპერებისთვის შესასრულებელ სამუშაოს, რადგან ვებ გვერდზე შემოთავაზებულია ყველა ის ფუნქციონალი, რაც საჭიროა გაითვალისწინოს დიზაინერმა დალტონიკების კატეგორიის ადამიანებისთვის.



## თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა


დალტონიზმი არის ფერის სიბრმავის ისეთი ფორმა, როდესაც ადამიანს უჭირს ან საერთოდ ვერ ხედავს ფერებს შორის განსხვავებებს.

დალტონიკმა შეიძლება ადვილად ვერ წაიკითხოს, ან შესაძლოა საერთოდ ვერ წაიკითხოს ისეთი ფერადი ინფორმაცია, როგორცაა გრაფიკები და ნახაზები.

ასეთი ადამიანები ცდილობენ თანმიმდევრობის მიხედვით დაიმახსოვრონ ფერები: მაგალითად შუქნიშნის ფერები რომელიც გამოიყურება შემდგენაირად:



სურათი 1. ნორმალური ხედვის ფოტო



სურათი 2. დალტონიზმის ხედვის ფოტო.

### თავი 1.1 დალტონიზმის ტიპები

- პროტანოპია

პროტანოპიის კატეგორიის ადამიანებისთვის ფერის რეცეპტორები წითელი ფერის მიმართ არ არის მგრძობიარე, ისინი ამ ფერს აღიქვამენ უფრო მუქად. კერძოდ კი უფრო მომწვანო ფერს ხედავენ.

- დეუტანოპია

დეუტანოპიის კატეგორიის ადამიანებს უჭირთ მწვანე-ყვითელი და წითელი ფერების გარჩევა ერთმანეთისგან. დეუტანოპიის კატეგორია ჰგავს პროტანოპიის კატეგორიას, მხოლოდ იმაგანსხვავებით რომ წითელი არც ისე მუქად ჩანს როგორც პროტანოპიის შემთხვევაშია.

- ტრიტანოპია

ტრიტანოპია განეკუთვნება ყველაზე იშვიათ კატეგორიას ამ სამი კატეგორიიდან. ასეთი ტიპის ადამიანები პროტანოპია და დეუტანოპიის კატეგორიებთან შედარებით, ხედავენ უფრო მოვარდისფრო ფერებს ფერების კომბინაციებიდან.

- აქრომატოპსია

ეს მიეკუთვნება ისეთ კატეგორიას, რომლისთვისაც ფერები წარმოდგენილია მხოლოდ შავი და თეთრი კატეგორიის ფერებში. გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე იშვიათი ფორმაა.



სურათი 3. ნორმალური, დეუტანოპია და პროტანოპიის კატეგორიის ხედვა

## თავი 1.2. დალტონიზმის გამომწვევი მიზეზები

- პარკინსონის დაავადება (PD).

იმის გამო, რომ პარკინსონის დაავადება არის ნევროლოგიური აშლილობა, ხდება მსუბუქი სენსიტიური ნერვული უჯრედების ცვლილება, სადაც მხედველობა შესაძლოა გაუარესდეს და შეიძლება გამოიწვიოს დალტონიზმი.

- კატარაქტა

კატარაქტის დაავადებით შესაძლოა განვითარდეს დალტონიზმი, მაგრამ ოპერაციული ჩარევით შესაძლოა გაუმჯობესდეს ხედვა და შესაძლებელი გახდეს მკვეთრი ფერების კომბინაციების გარჩევა.

- გარკვეული მედიკამენტები.

გარკვეული მედიკამენტების მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ასევე დალტონიზმი.

- ლებერის მემკვიდრეობითი ნეიროპათია (LHON).

ამ ტიპის მემკვიდრეობით გამოვლენილი ნეიროპათიამ შესაძლოა გამოვლინდეს მაშინაც კი, ვისაც არ აქვს სხვა სიმპტომები, მაგრამ აქვს ფერის სიბრმავე. ამ დროს შესაძლოა განვითარდეს წითელი მწვანე ფერის სიბრმავე.

- კალმანის სინდრომი.

ეს მემკვიდრეობითი მდგომარეობა გულისხმობს ჰიპოფიზის ჯირკვლის უკმარისობას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფერის სიბრმავე. ეს სიმპტომი შეიძლება იყოს ამ მდგომარეობის ერთერთი სიმპტომი.

ფერის სიბრმავე ასევე შეიძლება მოხდეს, როდესაც ხანში შესული ადამიანებში, პროცესები შესაძლოა განვითარდეს ბადურის უჯრედების ცვლილებით. [1][2]

### თავი 1.3 ცუდი ფერების კომბინაციები

ფერთა პალიტრიდან არსებობს რამდენიმე ფერთა კომბინაცია რომლებიც უმჯობესია არ გამოვიყენოთ, რადგან დალტონიკისთვის ძალიან რთულად აღსაქმელია ის. გთავაზობთ ფერთა კომბინაციების შემდეგ სიას[3][4]:



სურათი 4. დეუტანოპიის ფერთა კომბინაცია



სურათი 5. პროტანოპიის ფერთა კომბინაცია



## თავი 1.4 ვებ დიზაინში გასათვალისწინებელი პუნქტები

- რუკები, გრაფიკები, ნახაზები

გამომდინარე იქიდან, რომ რუკები გრაფიკები და ნახაზები ბევრი დეტალისგან შედგება, რაც ყურადღება მისაქცევია, აუცილებლად ასეთი დეტალები კონტრასტულად უნდა განსხვავდებოდეს ფორმით, და ფერით ერთმანეთისგან, რაც მეტად აღქმადს ხდის ნებისმიერი კატეგორიის დალტონიკის ადამიანისთვის.[5][6]

- მსგავსი ფერები


მსგავსად აღქმადი ფერები აუცილებლად სხვა და სხვა ადგილზე უნდა მოთავსდეს, არ შეიძლება მათი გვერდი გვერდ განლაგება ან ფონის შექმნა.

- ლინკები და მნიშვნელოვანი ტექსტები


ლინკები, მნიშვნელოვანი ტექსტები და ველები უმჯობესია გამოყოფილი იყოს ჩარჩოთი ან ხაზით, რაც განსაკუთრებით აქრომატოპიის ტიპის კატეგორიის ადამიანებისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

- ღილაკები

ღილაკები უმჯობესია იყოს წარმოდგენილი ჩარჩოთი და არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ფერით, უმჯობესია განმარტებაც დაერთოს თან. შემდეგ ფოტოზე ჩანს თუ როგორ ხედავს ნორმალური ხედვის რეჟიმში პიროვნება და თუ როგორ, დალტონიზმის კატეგორიის ადამიანი:[7]



სურათი 7. ნორმალური ხედვის რეჟიმი. ღილაკები




სურათი 8. დალტონიკის ტიპის ხედვა. ღილაკები

აღნიშნულიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ განმარტების გარეშე მეტად რთულია ფერის არჩევა.[8][9]

- ფერები და სიმბოლოები

ფერების და სიმბოლოების ერთად გამოყენება ამარტივებს აღქმას, სხვა და სხვა მინიშნებების როგორებიცაა საინფორმაციო ტექსტები.[10]



სურათი 9. საინფორმაციო ტექსტები

- ფერები და განმარტებები

უმჯობესია ფრებს ტან დაერთოს სიტყვიერი განმარტებები თუ რომელ ფერ წარმოადგენს, ეს უფრო ამარტივებს აღქმას და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოერი ან რამდენიმე ფერი აერიოს შესაბამისი კატეგორიის ადამიანს. [11]



სურათი 10. ფერები და განმარტებები

ცნობილია, რომ მარკ ცუკემბერგი მიეკუთვნება წითელი-მწვანე ფერის დალტონიკს, ლურჯს ფერს კი ყველაზე უკეთ ხედავს. ამიტომაცაა ცნობილი სოციალური ვებ გვერდი ფეისბუქი ლურჯი ფერის. შესაბამისად მას ვებ გვერდის უკეთ წარმოჩენისთვის გათვალისწინებული აქვს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი.




სურათი 11. ფეისბუქზე სიმბოლოების და ფერების შეხამება ერთმანეთთან

კომბინაციების თავიდან არიდების საშუალებით გაამარტივებთ ვებ გვერდის აღქმას, ეს ის კომბინაციაა რომლებიც უმჯობესია საერთოდ არ იქნას გამოყენებული.[12]

- მწვანე და წითელი
- მწვანე და ყავისფერი
- ლურჯი და იისფერი
- მწვანე და ლურჯი
- ღია მწვანე და ყვითელი
- ლურჯი და რუხი
- მწვანე და რუხი
- მწვანე და შავი



- გამოიყენე ფერის პალიტრიდან 2 ან 3 ფერი მაინც
- გამოიყენეთ ტექსტურა და შაბლონები, რათა ნახოთ განსხვავება
- ყურადღებით აირჩიეთ ნებისმიერი კონტრასტული ფერები და ფერებში
- თავიდან იქნას აცილებული ცუდი ფერის კომბინაციები [13]



სურათი 12. ფერთა კომბინაციები ტექსტურამდე და ტექსტურის დამატების შემდეგ.

ვებ დიზაინერებმა უნდა გაითვალისწინონ მათი საჭიროებების და გაითვალისწინონ მათი პოტენციური პრობლემები რასაც შესაძლოა წააწყდნენ ვებ გვერდზე თვალიერებისას. ქვემოთ წარმოდგენილია ფერთა რუკის მაგალითი და სრული დალტონიზმის შემთხვევაში ხედვის რეჟიმები.[14]



სურათი 13. ფერთა რუკა



სურათი 14. სრული დალტონიზმის შემთხვევა (ფერთა რუკა)


### თავი 1.5. დიზაინის ცვლილება ტონის და სიკაშკაშის კომბინაციების გამოყენებით

ტონის და სიკაშკაშის ცვლილებით შესაძლებელია აშკარა განსხვავება დავინახოთ ერთი და იმავე ფერს შორის ფერთა. ეს მეთოდი ეხმარება დიზაინერებს მარტივად განსაზღვრონ ბიტა ცვლილებები თუ ისინი აპირებენ ფერთა კომბინაციების დამატებას. შემდეგ ფოტოზე ჩანს თუ როგორ გამოიყურება სიკაშკაშის ცვლილებით სახეშეცვლილი ფერი. დალტონიკებისთვის მსგავსი შემთხვევები კი მეტად აღქმადს ქმნის ვებ გვერდს. [15]



სურათი 16. ფერთა სპექტრის კომბინაცია დალტონიზმის ფერთა სპექტრის შესაბამისობაში


თუ თქვენ გაზრდით ფერის ტონს ღია ფოტოების ფერის გაღიაებით და მუქ ფოტოებს მეტად დაამუქებთ მეტად აღქმადი გახდება. ფოტოზე წარმოდგენილია მკვეთრი და ღია ფერების თანაფარდობა.[16]



სურათი 17. მკვეთრი და ღია ფერის თანაფარდობა.

თავი 1.6 არსებული ვებ გვერდები მსგავსი ფუნქციონალით და მათი განხილვა

არსებობს რამდენიმე ვებ გვერდი რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს ვებ გვერდის გაანალიზება და გადაყვანა სხვა და სხვა კატეგორიაში. განვიხილავ თითოეულ მათგანს.



სურათი 18. Toptal.com-ის გვერდი.

Toptal საშუალებას იძლევა ლინკის მითითებით დაგენერირდეს შესაბამისი ფოტო და გადაყვანილ იქნას შესაბამის დალტონიზმის ხედვის რეჟიმში.

თუ ჩავიხედავთ მათ მიერ შემუშავებულ კოდში, ვნახავთ რომ ფოტოს აგენერირებენ base64 ფორმატში რაც ზრდის ფოტოს ჩატვირთვის დროს. განვიხილოთ ის:

```

<div id="app" class="is-mobile-ios">
  <form id="filter-form-id" class="filter__form">...</form>
  <div class="formatter-container">
    <div class="formatter">
      <div id="full-screen-area" class="formatter-full-screen full-size">
        <div class="formatter__container">
          <div class="formatter__container__item formatter__input">
            <!-->
            
          </div>
          <div class="formatter__container__item formatter__output">
            <!-->
             ==
          </div>
        </div>
      </div>
    <div class="formatter__toolbox">...</div>
  </div>

```

სურათი 19. topta.com-ის კოდის ფრაგმენტი

აღნიშნული მეთოდი მოქნილი მეთოდია თუმცა ტექნოლოგიების განვითარებამ საშუალება მოგვცა კიდევ უფრო გავამარტივოთ და მეტად სწრაფი გვახადოთ ვებ გვერდის ჩატვირთვის დრო.

აღნიშნულ მეთოდს მე ვიყენებ მხოლოდ სერვისის დროს, როდესაც მომხმარებელის მხრიდან არ ხდება ვებ გვერდის დაგენერირება და ხდება მხოლოდ დეველოპერის მიერ სერვისზე მიმართვის შემდგომ, რა დროსაც დაგენერირების თვალსაზრისით პრობლემას არ წარმოადგენს რამდენიმე წამით დაგვიანება რადგან ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება, ფოტოების შედგომში განხილვის და გაანალიზების მიზნით.

ისეთ დროს კი, როდესაც მომხმარებელი უშუალოდ ელოდება ფოტოს დაგენერირებას, უმჯობესია მისი სწრაფად ჩატვირთვა რაც ჩემს შემთხვევაში კანვასის ტექნოლოგია სწრაფად ამუშავებს მას.

```
▶ <div class="row">...</div>
  <!-- Heading Row -->
  ▼ <div class="row my-4">
    ▶ <div class="col-lg-6">...</div>
    ▼ <div class="col-md-6 mb-4">
      ▼ <div class="card h-100">
        <!-- <div class="card-body"> -->
        ▼ <div class="canvas">
          <canvas id="Canvas" width="450" height="336"> == $0
        </div>
```

თუ განვიხილავთ toptal-ის მიერ შემოტავაზებული ალგორითმის სწრაფქმედებას და შევადარებთ მას ჩემს მიერ შემოთავაზებულ ალგორითმს შედარებითი ანალიზი გამოიყურება შემდეგნაირად:

ლინკის დაგენერირების შემთხვევაში ჩემს მიერ  
წარმოდგენილი ალგორითმით საშუალო დამუშავების  
დროის ხანგრძლივობა წარმოადგენს:


2.21 წამს

ლინკის დაგენერირების შემთხვევაში მათ მიერ  
წარმოდგენილი ალგორითმით საშუალო დამუშავების  
დროის ხანგრძლივობა წარმოადგენს:

6.09 წამი

ცხრილი 1. ჩემ მიერ შემოთავაზებული და არსებული ვებ გვერდის  
ეფექტურობის შედარების ცხრილი

დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე toptal პროგრამის ნაკლოვანება,  
კერძოდ, ბევრი მიმართვისას მას უქრება სესია, ანუ საიტი იჭედება და ვეღარ  
ხერხდება მორიგი სურათის ატვირთვა და გენერაციის ინფორმაციის მიღება,  
რაც ნაჩვენებია შემდეგ სურათზე:



## სურათი 21. დანერგული ვებ გვერდის ხარვეზი

ეს შედეგი მივიღე, როდესაც ვამოწმებდი მათი საიტის პროგრამული მხარის ფუნქციონირებას. მსგავსი შედეგი დაფიქსირდა რამდენიმეჯერ ლინკის მითითების და მიმართვის შემდგომ.

დამატებითი ფუნქციონალი, რომელიც შემოთავაზებული მაქვს და არ აქვს ზემოთ ხსენებულ ვებ გვერდს:


- ფოტოს ატვირთვისმექანიზმი, რომელიც ასევე სწრაფქმედებით გამოირჩევა დაგენერირების დროს.
- რეკომენდებული ფერების კომბინაცია
- ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფერების კომბინაცია.
- სერვისი, რომლის საშუალებითაც დეველოპერებს შეუძლიათ ჩააშენონ თავიანთ ვებ გვერდზე და დაამატონ ახალი ფუნქციონალის, რომელიც გათვლილი იქნება დალტონიკებზე ანუ ექნება ხედვის რეჟიმები კატეგორიის მიხედვით.
- ტესტები, რისი საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია თავად გაიგოს განეკუთვნება თუ არა რომელიმე კატეგორიას.

სწრაფქმედებას ჩემ მიერ შემოთავაზებულ ალგორითმში ასევე ზრდის ის ფაქტორიც, რომ ვიყენებ ქეშირების ფუნქციას სესიის დროს, რა დროსაც




საშუალებას იძლევა რამდენიმეჯერ ვებ გვერდზე მიმართვის დროს კიდევ უფრო ნაკლებ დროში მოხდეს ფოტოს დაგენერირება.

განვიხილოთ შემდეგი ვებ გვერდი რომელიც მხოლოდ ფოტოს დაგენერირების საშუალებას გვამლევს:



სურათი 22. დალტონიზმის შესაბამის კატეგორიის ვებ გვერდის გადამყვანის მისამართი.



სურათი 23. <https://www.color-blindness.com/coblis-color-blindness-simulator/> ვებ გვერდის ვიზუალური მხარე.

თუ შევხედავთ მათ მიერ შემოთავაზებულ კოდს ფოტოს დაგენერირებას ასრულებენ კანვასში რაც იდენტურია ჩემ მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგიისა:

```

▼ #document
  ▼ <html class=" ">
    ▶ <head>...</head>
    ▼ <body style="user-select: none;">
      ▶ <div id="top-container">...</div>
      ▼ <div id="container" style="background: none;">
        ▼ <div height="580px" id="canvasDiv">
          <canvas id="outCanvas" width="775" height="580" style="width: 100%;
          height: 100%;">Your Browser does not support <canvas>. Get an
          upgrade!</canvas> == $0
        </div>
      </div>
    </body>
  </html>
  <script src="js/coblis-compressed.js" type="text/javascript"></script>
  <!-- script src="js/panZoomImage.js" type="text/javascript"></script>
  <script src="js/hcirn_colorblind_simulation.js" type="text/javascript">
</script>
  <script src="js/colorblind.js" type="text/javascript"></script>
  <script src="js/functions.js" type="text/javascript"></script -->
div #post-518 div p iframe html body #container #canvasDiv canvas#outCanvas

```

სურათი 24. <https://www.color-blindness.com/coblis-color-blindness-simulator/>

ვებ გვერდის კოდის მხარე.


მიუხედავად იმისა რომ დაგენერირებას ასრულებენ კანვასში დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მათი ალგორითმი უფრო ნელა მუშაობს.

<p>ფოტოს დაგენერირების შემთხვევაში ჩემს მიერ წარმოდგენილი ალგორითმით საშუალო დამუშავების დროის ხანგრძლივობა წარმოადგენს:</p> <p>0.90 წამს</p>
<p>ფოტოს დაგენერირების შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილი ალგორითმით საშუალო დამუშავების დროის ხანგრძლივობა წარმოადგენს:</p> <p>1.12 წამი</p>

ცხრილი2. ჩემ მიერ შემოთავაზებული და არსებული ვებ გვერდის დროითი

ეფექტურობის შედარების ცხრილი

მათ შემოთავაზებული აქვთ დამატებით დალტონიზმის კატეგორიები, როდესაც მე მხოლოდ 3 ძირითადი მიმართულება მაქვს დამუშავებული, თუმცა კატეგორიის დამატება პრობლემას არ წარმოადგენს და შესაძლებელია მისი განვითარება:



სურათი 25. დამატებითი დალტონიზმის ტიპები

დამატებითი ფუნქციონალი, რომელიც მათ ვებ გვერდზე არ არის და მე მაქვს შემოთავაზებული:

- ლინკის ატივითვის მექანიზმი, რომელიც ასევე სწრაფქმედებით გამოირჩევა დაგენერირების დროს.
- რეკომენდებული ფერების კომბინაცია
- ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფერების კომბინაცია.
- სერვისი, რომლის საშუალებითაც დეველოპერებს შეუძლიათ ჩააშენონ თავიანთ ვებ გვერდზე და დაამატონ ახალი ფუნქციონალის, რომელიც გათვლილი იქნება დალტონიკებზე ანუ ექნება ხედვის რეჟიმები კატეგორიის მიხედვით.
- ტესტები, რისი საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია თავად გაიგოს განეკუთვნება თუ არა რომელიმე კატეგორიას.

```

function createFilteredImage(img, type, callback) {
  console.log('createFilteredImage');
  var filterFunction = getFilterFunction(type);
  var canvas = document.createElement('canvas');
  var w = img.naturalWidth;
  var h = img.naturalHeight;
  canvas.setAttribute('width', w);
  canvas.setAttribute('height', h);
  var ctx = canvas.getContext('2d');
  ctx.drawImage(img, 0, 0);
  var pixels = ctx.getImageData(0, 0, w, h);

  // Split the work into 5 chunks
  var chunkSize = Math.max(Math.floor(pixels.data.length / 5), 1);
  var i = 0;
  // Chain of setTimeout-calls, so the progressbar can render.
  setTimeout(function doWork() {
    var chunkEnd = Math.min(i + chunkSize, pixels.data.length);
    for (; i < chunkEnd; i += 4) {
      var rgb = [pixels.data[i], pixels.data[i + 1], pixels.data[i + 2]];
      filteredRGB = filterFunction(rgb);
      pixels.data[i] = filteredRGB[0];
      pixels.data[i + 1] = filteredRGB[1];
      pixels.data[i + 2] = filteredRGB[2];
    }
    // 20% is loading the image
    NProgress.set(0.2 + 0.8 * (i / pixels.data.length));
    if (i < pixels.data.length) {
      setTimeout(doWork, 0); // Self reference
    } else {
      // Work is done
      ctx.putImageData(pixels, 0, 0);
      var url = canvas.toDataURL();
      console.log(url);
    }
  }, 0);
}

```

სურათი 26. არსებული ფუნქციონალის ნაწილი

```

var ColorMatrixMatrixes = {
  Normal: {
    R:[100, 0, 0],
    G: [0, 100, 0],
    B: [0, 0, 100]/*Fixed: was in the wrong spot in the
  Protanopia: {
    R:[56.667, 43.333, 0],
    G:[55.833, 44.167, 0],
    B: [0, 24.167, 75.833]},
  Protanomaly: {
    R:[81.667, 18.333, 0],
    G:[33.333, 66.667, 0],
    B: [0, 12.5, 87.5]},
  Deuteranopia: {
    R:[62.5, 37.5, 0],
    G:[70, 30, 0],
    B: [0, 30, 70]},
  Deuteranomaly:{
    R:[80, 20, 0],
    G:[25.833, 74.167, 0],
    B: [0, 14.167, 85.833]},
  Tritanopia: {
    R:[95, 5, 0],
    G: [0, 43.333, 56.667],
    B: [0, 47.5, 52.5]}.

```

სურათი 27. colorblind.js

```

    R:[61.8, 32, 6.2],
    G:[16.3, 77.5, 6.2],
    B:[16.3, 32.0, 51.6]}
};

function matrixFunction(matrix) {
    return function (rgb) {
        var r = rgb[0];
        var g = rgb[1];
        var b = rgb[2];
        return [
            r * matrix.R[0] / 100.0 + g * matrix.R[1] / 100.0 + b * matrix.R[2] / 100.0,
            r * matrix.G[0] / 100.0 + g * matrix.G[1] / 100.0 + b * matrix.G[2] / 100.0,
            r * matrix.B[0] / 100.0 + g * matrix.B[1] / 100.0 + b * matrix.B[2] / 100.0
        ];
    };
}

var colorMatrixFilterFunctions = {};
for (var t in ColorMatrixMatrixes) {
    if (ColorMatrixMatrixes.hasOwnProperty(t)) {
        colorMatrixFilterFunctions[t] = matrixFunction(ColorMatrixMatrixes[t]);
    }
}

var imageCache = {};
var urlCache = {};
function clearImageCache() {
    imageCache = {};
    urlCache = {};
}

function getFilteredImage(img, type, callback) {
    console.log('getFilteredImage');
    if (type === 'ColorMatrix') {

```

## სურათი 28. colorblind.js

```

function createFilteredImage(img, type, callback) {
    console.log('createFilteredImage');
    var filterFunction = getFilterFunction(type);
    var canvas = document.createElement('canvas');
    var w = img.naturalWidth;
    var h = img.naturalHeight;
    canvas.setAttribute('width', w);
    canvas.setAttribute('height', h);
    var ctx = canvas.getContext('2d');
    ctx.drawImage(img, 0, 0);
    var pixels = ctx.getImageData(0, 0, w, h);

    // Split the work into 5 chunks
    var chunkSize = Math.max(Math.floor(pixels.data.length / 5), 1);
    var i = 0;
    // Chain of setTimeout-calls, so the progressbar can render.
    setTimeout(function doWork() {
        var chunkEnd = Math.min(i + chunkSize, pixels.data.length);
        for (; i < chunkEnd; i += 4) {
            var rgb = [pixels.data[i], pixels.data[i + 1], pixels.data[i + 2]];
            filteredRGB = filterFunction(rgb);
            pixels.data[i] = filteredRGB[0];
            pixels.data[i + 1] = filteredRGB[1];
            pixels.data[i + 2] = filteredRGB[2];
        }
        // 20% is loading the image
        NProgress.set(0.2 + 0.8 * (i / pixels.data.length));
        if (i < pixels.data.length) {
            setTimeout(doWork, 0); // Self reference
        } else {
            // Work is done
            ctx.putImageData(pixels, 0, 0);
            var url = canvas.toDataURL();
            console.log(url);
        }
    }, 0);
}

```

## სურათი 29. colorblind.js

```

5         var filteredImage = new Image();
7         filteredImage.onload = function () {
3             callback(this, url);
3         };
3         filteredImage.src = url;
1     }
2     }, 0);
3
4 }
5
5 function getFilterFunction(type) {
7     var lib;
3     if (type.substring(0, 5) === 'hcnr') {
3         lib = fBlind;
3     } else if (type.substring(0, 5) === 'simpl') {
1         lib = colorMatrixFilterFunctions;
2     } else {
3         throw 'Invalid Filter Type!';
4     }
5     type = type.substring(5);
5     if (type in lib) {
7         return lib[type];
3     } else {
3         throw 'Library does not support Filter Type: ' + type;
3     }
1 }

```

### სურათი 30. colorblind.js

26-30 ფოტოებზე წარმოდგენილია colorblind.js ის კოდი, რომლის გამოკვლევითაც დადგინდა, რომ მისი მუშაობის სწრაფქმედების



